

საპროცენტო ბანაკვეთის გედა ზღვარი სესხისთვის (კრიტიკული ანალიზი)

I. შესავალი

საპროცენტო სარგებელი სესხისთვის დარიცხული ის პროცენტული მოგებაა, რასაც გამსესხებელი თანხის სხვა პირისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემით იღებს. შესაბამისად, დარიცხული პროცენტი არის ეკონომიკური მოგება, რისთვისაც მისი მესაკუთრე აღნიშნულ ქონებაზე დროებით სარგებლობას თმობს.¹ იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს და მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულება კანონით აუკრძალავ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დადონ, იბადება კითხვა, თუ რა ოდენობის უნდა იყოს სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, შეიძლება თუ არა ის მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა ნების საფუძველზე, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი კონტროლის გარეშე განისაზღვროს, რა საჭიროა მისი რეგულირება და რა უნდა იყოს ის ოპტიმალური ოდენობა, რომელიც სარგებლის გონივრულ ოდენობად იქნებოდა მიჩნეული.

ზოგადად, საპროცენტო სარგებლის ოდენობაზე ზედა ზღვრის დანესება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რა დროსაც პიროვნების თავისუფალი განვითარების

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, orcid.org/0000-0003-0226-0247.

¹ მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2020, 108.

უფლების რეალიზაციისთვის კანონმდებელი ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წინასწარ ბოჭავს, რათა დაცულ იქნეს სახელშეკრულებო თანასწორობის პრინციპი და აღნიშნულის ფონზე მხარემ შეძლოს საკუთარი უფლების განხორციელება.²

ხელშეკრულების თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური მხარე არსებობს, მისი პოზიტიური ნაწილი პიროვნების თვითგამორკვევის უფლებას და პიროვნების განვითარების უფლებას მოიცავს, ნეგატიური კონტექსტი კი სახელშეკრულებო თავისუფლებაში მესამე პირების (მაგ., სახელმწიფოს) ინტერვენციისგან თავის შეკავების მოვალეობას მიემართება. აღნიშნულის მიუხედავად, ზოგჯერ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩარევა საჭირო და გამართლებულია, რათა ყველა პირის თვითგამორკვევის უფლება თანაბრად იქნეს დაცული. ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთს ბევრად უფრო მძიმე მოთხოვნებს უწესებენ, ვიდრე ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში მართებულადაა მიჩნეული, ამორალურია.³ გარდა ამისა, კერძო სამართლის ზოგადი ნორმები კეთილსინდისიერი მოქმედების ვალდებულების, ამორალური და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო ქმედების აკრძალვის შესახებ, როგორც წესი, კონტინენტური სახელშეკრულებო სამართლის ქვეკუთხედაა. ამგვარი ზოგადი წესებით სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს გადანყვეტილება ისეთ სახელშეკრულებო საქმეებზე, რომლებიც კონკრეტული ნორმით მოწესრიგებული არ არის, თუმცა ზოგადი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებაა.⁴ ხსენებული პრინციპების გათვალისწინებით, სტატიის მიზანია საქართველოში მოქმედი საპროცენტო სარგებლის ზედა ზღვრის მომწესრიგებელი ნორმის კრიტიკული ანალიზი შედარებითსამართლებრივ კონტექსტში. ამ

² ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016, 78-79.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 12 ნოემბრის Nას-1146-2018 განჩინება.

⁴ Chantal M., *Fundamental Rights and European Contract Law*, Kluwer Law International, 2007, 32-33.

თვალსაზრისით განხილული იქნება სასამართლო პრაქტიკა და ევროპის კავშირის ქვეყნების მიდგომები, რის საფუძველზეც დადგინდება, რამდენად ადეკვატურად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მომხმარებელთა დაცვისა და საჯარო წესრიგის სანინააღმდეგო ქმედების აკრძალვის შესახებ.

II. ნორმის განვითარება დროში

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი გამოვლინება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილია, რომლის თანახმად, „მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის პროცენტის განსაზღვრისას სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 50 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს“. ნორმის 2016 წლის დეკემბრამდე არსებული შინაარსი საპროცენტო სარგებლის ზედა ზღვრის თაობაზე არაფერს ამბობდა, იმხანად მოქმედი დისპოზიცია მხოლოდ იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში, მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთის მითითების ვალდებულებას აწესებდა. სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ საპროცენტო სარგებლის ოდენობის სრულად საკრედიტო, საბანკო და მიკროსაფინანსო სექტორისთვის მინდობამ არასახარბიელო შედეგი მოიტანა, კერძოდ, საკრედიტო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ხშირად არაგონივრულ წლიურ საპროცენტო განაკვეთს აწესებდნენ, რაც, გარდა არაკეთილსინდისიერი და ამორალური ქმედებისა, მომხმარებლის ვალაუვალობას, იპოთეკით დატვირთული ქონების დაკარგვას და მათ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩენას იწვევდა.⁵ მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ წლიური საპროცენტო სარგებელი 72%-ის ოდენობით, სესხისათვის არაგონივრულ სარგებელს ითვალისწინებდა და ამით არღვევდა კრედიტორის ქცე-

⁵ მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2020, 108-118.

ვის კეთილსინდისიერების სტანდარტს, რის გამოც ხელშეკრულება ამ ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი.⁶ ასევე, სასამართლოს მიერ სხვა საქმეზე აღინიშნა, რომ ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების სანინაალმდეგო მოქმედებად შეაფასებდა, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლომ შეთანხმებული პროცენტი ბათილად არ ცნო, არამედ ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებელი წლიურ 48%-მდე შემცირა.⁷ აღიარებული მიდგომის მიხედვით, გარიგების ბათილობის მიზანი მძიმე მდგომარეობაში მყოფი, სუსტი პირის ინტერესების დაცვა იყო,⁸ რაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების რეალიზაციის ფორმაა და შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლებაში უკანონო ჩარევას არ უთანაბრდება.

სწორედ აღნიშნული მდგომარეობის შეცვლის სულისკვეთება დაედო საფუძვლად 2016 წლის დეკემბერში სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებებს, როდესაც სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ზღვრად 100% განისაზღვრა (აღნიშნული ცვლილებები 2017 წლის 15 იანვარს შევიდა ძალაში).⁹ კანონპროექტის განმარტებით ბარათში წლიური საპროცენტო განაკვეთის 100%-მდე შეზღუდვის შესახებ აღნიშნულია, რომ 2016 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება და სესხზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი დაწესდა, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ე.წ. „ონლაინ სესხების“ აგრესიული მარკეტინგი და ზოგადად, ამ სეგმენტის ზრდა. თუმცა მალევე, ის ანალოგიურმა საბანკო

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის №ას-663-629-2015 განჩინება.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის №ას-139-139-2018 გადაწყვეტილება.

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, წიგნი 3, თბილისი, 2009, 316-320.

⁹ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 29 დეკემბერის კანონი.

პროდუქტმა ჩაანაცვლა. კომერციულ ბანკებს, მასშტაბის გამო, ბევრად მაღალი ეფექტიანობა აქვთ, უფრო დეტალურ ინფორმაციას ფლობენ საკუთარ მრავალრიცხოვან კლიენტებზე და გაყიდვების უფრო მძლავრ არსებს ფლობენ, რაც საშუალებას იძლევა მაღალ-რისკიან მსესხებლებზე, თუნდაც 95%-ად გაცემული კრედიტის შემთხვევაში, სასურველი მოგება მიიღონ. ამასთან, საკითხის სიღრმისეული კვლევა ცხადყოფს, რომ აღნიშნულ სასესხო პორტფელში ვადაგადაცილებების რაოდენობა დიდია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კრედიტორების მიერ სესხის გაცემისას არ ხდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, როგორც ამას დაკრედიტების ჯანსაღი პრაქტიკა მოითხოვს. ხშირ შემთხვევაში მსესხებელი პირები კარგავენ სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულ ქონებას, რაც მათი ერთადერთი საარსებო წყარო შეიძლება იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საფრთხე ექმნება იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი დაწესდა – მომხმარებლების დაცვა ჭარბვალიანობისგან.¹⁰ შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ 100%-იანი ლიმიტის დაწესება დასახული მიზნის მისაღწევად არაქმედითი საშუალება აღმოჩნდა, რის გამოც 2018 წლის 21 ივლისს ამავე მუხლში ცვლილება შევიდა, რომლითაც საპროცენტო სარგებლის მაქსიმალურ წლიურ ოდენობად 50% დაწესდა.¹¹ აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა ამ ოდენობაზე დაბლა მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთი კანონშესაბამისად გამოაცხადა. 2018 წლის 21 ივლისის ცვლილებების კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ საფრთხე ექმნება იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი დაწესდა – მომხმარებლების დაცვა ჭარბვალიანობისგან. ამიტომ, მიზანშეწონილია, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის

¹⁰ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 29 დეკემბერის კანონის განმარტებითი ბარათი.

¹¹ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი.

ლიმიტი შემცირდეს, რათა მან უკეთესად უპასუხოს მიმდინარე გამოწვევებს და ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრებას. ამავე განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვა სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებში, ასევე მოსახლეობის ჭარბ-ვალიანობის რისკის შემცირება.¹²

III. ევროკავშირის ქვეყნების მიდგომა

ნორმის განმარტებით ბარათებში კანონმდებელი მომხმარებლების დაცვის მიზანზე და მათი უფლებების დაცვის საჭიროებაზე საუბრობს, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი უბრალოდ განსაზღვრავს წლიური საპროცენტო სარგებლის ზღვრულ ოდენობას და მისი სამართლებრივი ბუნების, ნორმის სუბიექტების ან/და ობიექტების შესახებ მითითებას არ აკეთებს. ამ მიმართებით საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მიდგომა, სადაც აბსოლუტური და რელატიური ზღვრული საპროცენტო სარგებლის პრაქტიკა არსებობს. აბსოლუტური ზღვრული საპროცენტო სარგებელი ნიშნავს ზედა ზღვრის კანონით დაწესებას, ხოლო რელატიური ზღვრული საპროცენტო სარგებლის დროს სარგებლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო ან შესაბამისი კომპეტენტური ორგანო, რომელიც სხვადასხვა სახის, ტიპის, ოდენობის სესხებისთვის განსხვავებულ ზედა ზღვარს აწესებს.¹³

აბსოლუტური ზღვრული საპროცენტო სარგებლის პრინციპით ევროკავშირის სამი ქვეყანა სარგებლობს: საბერძნეთში საპროცენტო სარგებლის წლიური მაქსიმალური ოდენობა 6,75%-ს შეადგენს,¹⁴ აქვე აღსანიშნავია, რომ ეს მონესრიგება მხოლოდ არასაბანკო

¹² იხ., „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონის განმარტებითი ბარათი.

¹³ Study on Interest Rate Restrictions in the EU, Final Report for the EU Commission DG Internal Market and Services, Project No. ETD/2009/IM/H3/87, Brussels/Hamburg/Mannheim, 2013, 32.

¹⁴ Credit Union Act, 1997, Section 38.

სესხებზე მოქმედებს. ირლანდიაში საკრედიტო დაწესებულებების მიერ სესხის გაცემა ყოველთვიურ 1%-ზე ანუ წლიურად 12%-ზე მაღლა აკრძალულია, აგრეთვე მალტაში გაცემულ სესხებზე წლიური სარგებლის ზღვრული ოდენობა 8%-ს შეადგენს.¹⁵

რელატიური ზღვრული საპროცენტო სარგებლის პრინციპით ევროკავშირის 11 სახელმწიფო მოქმედებს.¹⁶ მაგალითად, პორტუგალია საპროცენტო სარგებლის ზღვრულ ოდენობას იმის მიხედვით განსაზღვრავს, თუ რა დანიშნულებისაა კრედიტი, ასევე მაქსიმალური ზღვრული ოდენობის დაწესება ხდება მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, მომხმარებლებად იწოდებიან.¹⁷ პორტუგალიაში სასწავლო, სამედიცინო დანიშნულებისა და განახლებად ენერგიასთან დაკავშირებულ სესხებზე მაქსიმალური ზღვრული ოდენობა წლიური 6.7%-ია, ლიზინგისთვის – 7.3%, სხვა სამომხმარებლო კრედიტისთვის – 18.9%, და ა.შ.¹⁸ სლოვენიაში მომხმარებლებისთვის გაცემული სესხის მაქსიმალური წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობა ბანკების მიერ დაწესებული საპროცენტო სარგებლის ნახევარს შეადგენს.¹⁹ ესპანეთში მოქმედებს კანონი, რომელიც ამორალურ საპროცენტო სარგებელს უკანონოდ მიიჩნევს, არა მხოლოდ სესხისთვის არამედ ყველა სხვა ურთიერთობისთვის, რომლისთვისაც შესაძლებელია წლიური საპროცენტო სარგებელი განისაზღვროს,²⁰ სწორედ ამ

¹⁵ Study on Interest Rate Restrictions in the EU, Final Report for the EU Commission DG Internal Market and Services, Project No. ETD/2009/IM/H3/87, Brussels/Hamburg/Mannheim, 2013, 64. ასევე იხ., The Interest Rate (Exemption) Regulations 2009 enacted by Legal Notice 142 of 2009.

¹⁶ ქვეყნების სრული ჩამონათვალი იხ., Study on Interest Rate Restrictions in the EU, Final Report for the EU Commission DG Internal Market and Services, Project No. ETD/2009/IM/H3/87, Brussels/Hamburg/Mannheim, 2013, 65-79.

¹⁷ Decree-Law No. 133/2009; Portuguese Law of the CCD 2008 (June 2009).

¹⁸ Study on Interest Rate Restrictions in the EU, Final Report for the EU Commission DG Internal Market and Services, Project No. ETD/2009/IM/H3/87, Brussels/Hamburg/Mannheim, 2013, 74-75.

¹⁹ იქვე, 75.

²⁰ Law of Usury of 23 July 1908 <<https://vlex.es/vid/ley-23-julio-1908-847558876>> [29.04.2022].

კანონით ხელმძღვანელობენ ესპანეთის სასამართლოები, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში შეთანხმებულ საპროცენტო სარგებლის კანონიერებაზე მსჯელობენ.²¹ გერმანიაში სარგებლისთვის დაწესებული მაქსიმალური ზღვრული ოდენობა საშუალო საბაზრო საპროცენტო სარგებლის ორმაგ ოდენობას შეადგენს. თუმცა აქვე არსებობს მეორადი დათქმა, რომელიც თავის მხრივ, ორმაგი საშუალო საბაზრო საპროცენტო სარგებლის ზედა ზღვარს 12%-ით განსაზღვრავს. ანუ ისეთ შემთხვევაში, თუ გაცემული სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი, რომელიც საშუალო საბაზრო სარგებლის ორმაგი ოდენობით იქნა გამოთვლილი, წლიურ 12%-ს აღემატება, მეორადი ზღვარი მოქმედებს და საპროცენტო სარგებლის ოდენობა მაინც წლიური 12% იქნება.²² საფრანგეთშიც, ესპანეთის მსგავსად, წლიური საპროცენტო სარგებლის ოდენობა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა დანიშნულების, ოდენობის და ხანგრძლივობისაა სესხი, მაგალითად, ფიზიკური პირებისთვის გაცემული იპოთეკური სესხის მაქსიმალური საპროცენტო სარგებელი წლიურად 4.72%-ს შეადგენს, სამომხმარებლო სესხის წლიური ზღვრული ოდენობა 1524 ევრომდე სესხისთვის 16.22%-ია, 1524 ევროს ზევით, ოვერდრაფტისთვის – 14.59%, ხოლო 1524 ევროს ზევით აღებული პერსონალური სესხისთვის –6.64%.²³ ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რელატიური საპროცენტო სარგებლის ზედა ზღვრის გამოყენების თვალსაზრისით ლიდერობენ საფრანგეთი, ბელგია და პორტუგალია, მათი ეფექტურობის კოეფიციენტი 5%-იდან 4.5%-ს შეადგენს.²⁴

²¹ Study on Interest Rate Restrictions in the EU, Final Report for the EU Commission DG Internal Market and Services, Project No. ETD/2009/IM/H3/87, Brussels/Hamburg/Mannheim, 2013, 76-77.

²² იქვე, 65-66.

²³ იქვე, 66-67. იხ., <<http://www.banque-france.fr/fr/statistiques/taux/usure.htm>> [29.04.2022].

²⁴ Study on Interest Rate Restrictions in the EU, Final Report for the EU Commission DG Internal Market and Services, Project No. ETD/2009/IM/H3/87, Brussels/Hamburg/Mannheim, 2013, 57-60.

აღნიშნული მაგალითებიდან ნათელია, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის ერთიანი მიდგომა რაიმე კონკრეტულ ციფრზე, რომელიც სესხებისთვის დაწესებული წლიური საპროცენტო სარგებლის ზღვრულ ოდენობად იქნებოდა მიჩნეული, არ არსებობს. აღნიშნული იქიდან გამომდინარეობს, რომ მომხმარებელთა უფლებების შესახებ N2008/48/EC და უსამართლო პირობების შესახებ N93/13/EEC დირექტივა ე.წ. *soft law*, ანუ არაიმპერატიულ წესთა ერთობაა. როგორც წესი, დირექტივა აწესებს ერთ საერთო მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად რამდენიმე მინიმალურ სტანდარტს, ხოლო ის, თუ წევრი სახელმწიფოები როგორ მიაღწევენ ამ მიზანს და რა საშუალებებს გამოიყენებენ, მათი დისკრეციაა, თუმცა იმ პირობით, რომ დირექტივის მიერ დაწესებული მინიმალური სტანდარტი არ დაირღვევა. მაგალითისთვის, ევროპის მართლმსაჯულების სამართალთა ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ მომხმარებელთან დადებულ სესხის ხელშეკრულებაში, საპროცენტო განაკვეთის შესაძლო წლიური ცვლილების (APRC) განაკვეთის, ქვედა და ზედა ზღვრის სახით, და არა კონკრეტული ციფრის განსაზღვრით მითითება, N2008/48 დირექტივის მიზნებიდან არ გამომდინარეობდა (სახელდობრ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნებიდან). მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების ცხადად ჩამოყალიბების ვალდებულება ამავე დირექტივითაა გათვალისწინებული, ამიტომ, მართლმსაჯულების სასამართლოს აზრით, წლის განმავლობაში საპროცენტო სარგებლის სხვაობის ოდენობა ცხადად და ზუსტად უნდა იყოს გაწერილი, რათა მომხმარებელმა წინასწარ კრედიტის სრული მოცულობის გამოანგარიშება მოახერხოს.²⁵ ასევე სხვა საქმეზე, სადაც მართლმსაჯულების სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნისთვის ესპანეთის სასამართლომ მიმართა,²⁶

²⁵ RN v Home Credit Slovakia a.s., Judgement of 19 December 2019, C-290/19 [CJEU].

²⁶ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მიზნით მიმართვა გარანტირებულია ევროკავშირის სადამფუძნებლო აქტის 267-ე მუხლით.

სასამართლოს ორ საკითხზე უნდა ემსჯელა, კერძოდ, პირველი – მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში ისეთი სტანდარტული პირობის შეთავაზება (რომელიც მომხმარებელთან შეთანხმების საგანი იყო), რომელიც პირობის დარღვევის შემთხვევაში ჩვეულებრივ (ხელშეკრულებით შეთანხმებული განაკვეთი) საპროცენტო სარგებელზე 2%-ით მაღალ განაკვეთს აწესებს, იყო თუ არა უსამართლო პირობა. ამ საკითხთან მიმართებით ლუქსემბურგის სასამართლომ მოიშველია ესპანეთის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც დადგენილი იყო, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში დასაკისრებელი საპროცენტო განაკვეთი, ჩვეულებრივ, საპროცენტო სარგებელზე 2%-ზე მაღალი არ უნდა იყოს, სასამართლოს მითითებით, აღნიშნული სრულად შეესაბამება მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას ხელშეკრულების უსამართლო პირობების შეფასებასთან დაკავშირებით,²⁷ ამიტომ კითხვის ავტორი სასამართლო ვალდებული იყო გაეზიარებინა ესპანეთის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა. ამავე საქმეში დასმული მეორე კითხვა შეეხებოდა იმას, თუ საპროცენტო სარგებლის უსამართლოდ მიჩნევის შემთხვევაში ხელშეკრულების მხოლოდ აღნიშნული პუნქტის, თუ სრული ხელშეკრულების ბათილად ცნობა უნდა მომხდარიყო, რაზეც მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების უსამართლო პირობების თაობაზე ღირეექტივის²⁸ მიხედვით, მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში არ შეიძლება უსამართლო პირობა შეთანხმდეს, ეროვნული სასამართლოები არ არიან უფლებამოსილნი, ჩაასწორონ უსამართლო პირობა, შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედება უსამართლო პირობის გარეშე უნდა გაგრძელდეს. იმ შემთხვევაში, თუ უსამართლო პირობის გარეშე ხელშეკრულების გაგრძელება სამართლებრივად შეუძლებელია, მთლიანი ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

²⁷ ECJ's Guidelines for Assessing Unfairness of a Contractual Term (Mohamed Aziz v. Caixa d'Estalvis de Catalunya, Tarragona i Manresa (Case C-415/11)).

²⁸ Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993.

ბათილობა მომხმარებლისთვის საუარესო შედეგს გამოიწვევს. ამ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია უსამართლო პირობა არსებული კანონმდებლობის სხვა პირობით ჩაანაცვლოს.²⁹ მოხმობილი სასამართლო გადაწყვეტილებები კარგი საილუსტრაციო მაგალითია იმისთვის, თუ როგორ მოქნილად იყენებს მართლმსაჯულების სასამართლო კანონს, რათა მომხმარებლის უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმება³⁰ საქართველოს ევროპის კავშირის სამართალთან მაქსიმალურ დაახლოვებას მოითხოვს, სასურველია, რომ საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო პრაქტიკა სწორედ ევროკავშირის სამართლისა და სასამართლოს კარგი პრაქტიკის კვალდაკვალ განვითარდეს.

IV. რეკომენდაციები კანონმდებლობის ევროპულ პრაქტიკასთან დაახლოებისათვის

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის განმარტებით ბარათებში მოყვანილი მიზნები, დასახული ქმედებები და მისაღწევი შედეგები პოზიტიურია, კანონით, საპროცენტო სარგებლის ზღვრულ ოდენობად წლიური 50%-ის დაწესება დასახული მიზნის მისაღწევად, მით უფრო, ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებისათვის, ქმედითი საშუალება ვერ იქნება. შესაძლებელია მან წინა წლებთან შედარებით მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტი გააუმჯობესოს, თუმცა 50%-იანი ზღვრული ოდენობის არსებობის პირობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტზე საუბარი უადგილო და მიზანშეუწონელია. როგორც აღინიშნა, 2014 წლის 27 ივნისს

²⁹ Joined Cases of Banco Santander SA v. Demba and another (Case C-96/16) and Cortes v. Banco de Sabadell SA (Case C-94/17).

³⁰ ი.ე., ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება, მომხმარებელთა დაცვის კუთხით ევროპული დაცვის სტანდარტის მაქსიმალური ჰარმონიზაციის ვალდებულებას აკისრებს. ამ მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ზემოთ მოტანილი ევროპის კავშირის ქვეყნების მიდგომის შედარებით, ნათელი გახდება, რომ კანონმდებელი, მართალია, მოხსენებით ბარათში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, ვალაუფალობის მოწესრიგებასა და სხვა მასთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობს, თუმცა წლიური საპროცენტო სარგებლის ზღვრული ოდენობა ისეთი ზოგადი ნორმით მოაწესრიგა, რომელიც ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობებისთვის გამოიყენება. შესაბამისად, უნდა გაირკვეს კანონმდებლის მიზანი მხოლოდ მომხმარებელების უფლებების დაცვა თუ არა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, აუცილებელია, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის დაკონკრეტება და ნორმის სუბიექტად მომხმარებლის განსაზღვრა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპის კავშირის არცერთ წევრ ქვეყანაში, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც მოსახლეობას საკმაოდ მაღალი შემოსავალი გააჩნია, საპროცენტო სარგებლის ოდენობა ისეთი მაღალი არ არის, როგორც საქართველოში, რაც ერთი შეხედვითაც ცხადყოფს, რომ მოწესრიგება ნაკლოვანია და სულ მცირე, საპროცენტო სარგებლის წლიური ზღვრის შემცირებას საჭიროებს. გარდა აღნიშნულისა, ევროპის კავშირის ყველა წევრი ქვეყანა საპროცენტო სარგებლის კანონიერების შეფასებისას იყენებს კეთილსინდისიერების, საუკეთესო მორალისა და თანაზომიერების ტესტს. ამ პრინციპებით მოქმედების ვალდებულება, მართალია, ასევე ნაგულისხმევია სამოქალაქო კოდექსითაც, მაგრამ იმ საპროცენტო სარგებლის ოდენობის ამორალურად ცნობა, რომელიც კანონით განმტკიცებულ 50%-იან ზღვარში ექცევა, თითქმის შეუძლებელია, რადგან კანონმდებელმა გარკვეულწილად დააკანონა ამ ზღვრის ქვევით საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა, რითიც ფაქტობრივად და-

უშვა ისეთი პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობა, როდესაც საკრედიტო დანესებულებას დაბალრისკიანი მომხმარებლისთვის მოკლევადიანი და დაბალბიუჯეტიანი სესხის გაცემა წელიწადში 49%-ის დარიცხვით შეუძლია. ასეთი მიდგომა ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ამორალურად იქნებოდა მიჩნეული. შესაბამისად, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, აუცილებელია, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილს დამატოს სესხის გამცემი პირის კეთილსინდისიერი ქცევის, საუკეთესო მორალითა და თანაზომიერების პრინციპის განუხრელად დაცვის ვალდებულება, რომელიც კრედიტორს 50%-იანი ზედა ზღვრის დაცვის მიუხედავად დაეკისრება.

გარდა ამისა, კვლევაში მოტანილმა საუკეთესო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ზღვრული საპროცენტო სარგებლის დანესებაში, მათ აღსრულებასა და მიღწეულ ეკონომიკურ თუ სოციოლოგიურ შედეგებში ლიდერობენ ქვეყნები, რომლებიც საპროცენტო სარგებლის რელატიური პრინციპით განსაზღვრის მიდგომას იყენებენ. საქართველოს ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის აბსოლუტური მიდგომა აქვს არჩეული: სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ყველანაირი სესხისთვის წლიური საპროცენტო სარგებლის 50%-იან ზედა ზღვარს აწესებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარებად ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, სასურველია, ქართველმა კანონმდებელმა იხელმძღვანელოს ევროპის კავშირის იმ 11 ქვეყნის მაგალითით, რომლებიც რელატიურ საპროცენტო სარგებლის ზღვარს აწესებენ. აღნიშნულით, კანონმდებელი საკრედიტო სექტორს მისცემს შესაძლებლობას და იმავდროულად, დააკისრებს ვალდებულებას, რომ ყოველი კონკრეტული სასესხო ვალდებულება განიხილოს როგორც ინდივიდუალური. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის, ფორმის, ოდენობის და ხანგრძლივობის იქნება სესხი, საპროცენტო სარგებლის ოდენობა წინასწარ დადგენილი რელატიური სქემით გამოითვლება. ამასთან, სასურვე-

ლია წლიური საპროცენტო სარგებლის ზღვრული ოდენობის მოდიფიცირება ურთიერთობის სუბიექტის დიფერენცირების გზითაც მოხდეს, როგორც ეს კვლევაში მითითებულ ევროპულ ქვეყნებშია, რადგან დღევანდელი მონესრიგების პირობებში 625-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებული ზედა ზღვარი მოქმედებს, როგორც იმ მოქალაქისთვის, რომლის ყოველთვიური შემოსავალი 1000 ლარია და ისეთი სამეწარმეო პირისთვისაც, რომლის წლიური ბრუნვა მილიონს აღემატება, რაც თავისთავად არათანასწორი მიდგომაა და სისტემურ ცვლილებებს საჭიროებს.

V. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-2 ნაწილის დღევანდელი რედაქცია ვერ უზრუნველყოფს იმ ობიექტური მიზნის მიღწევას, რომელიც ამ ნორმას აქვს და რომელიც მის განმარტებით ბარათშია რეგლამენტირებული. ნორმა ბუნდოვანი, არაგანჭვრეტადი და არაეფექტურია, რადგან იგი 50%-ის ფარგლებში, ნებისმიერი ოდენობის საპროცენტო სარგებლის ოდენობაზე შეთანხმების შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად, აუცილებელია მისი იმგვარი სახით ჩამოყალიბება, რომლითაც საქართველო ევროპის კავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებასთან დაახლოებას, მომხმარებელთა უფლებების უკეთეს დაცვას და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას შეძლებს.